დიდი ლენინის დროშა დაგვნათის...

ოქტომბრის შუქი

გათენდა, ცეცხლის მზე აენთო, აცურდა... დროშები ჩქარა!

ეს შთამაგონებელი სიტყვები 1917 წელს დაიწერა, სწორედ მაშინ, როცა დაიწყო ახალი ერა კაპიტალიზმის ისტორიაში — კაპიტალიზმის დამსხვრევისა და კომუნიზმის დამკვიდრების ერა.

კიდევ სამი დღე, და მშრომელი ადამიანები ორმოცდამეხუთეჯერ იდღესასწაულებენ იმ დროშების აფრიალებას, იმ დიად დღეთა გათენებას!

დაიკუხებენ ორკესტრები, „მზე ამოენთება ნაკადებად“, ალისფერი დროშები ტალღებად მოეფინება ქუჩებს, მოედნებს... ადამიანები მოიგონებენ გარდასულ დღეთა ავსა და კარგს, მოიგონებენ ბრძოლებში დაცემულთ, მოიგონებენ იმათ, ვინც გვაბრძოლა მომავლის რწმენით, ვინც გულით იცავს ოქტომბრის დიად მონაპოვარს.

რა ვიყავით და რანი ვართ?

რა გვქონდა: ხის კავი, ჩაგვრა, მონობა, უწიგნურობა, სიღატაკე და სიბნელე. ამ სიბნელეში მზესავით შემოიჭრა ოქტომბრის სხივი, წყვდიადი გაიპო, ბნელი გაფანტა. ეს სხივი მოჰყვა ლენინურ დროშას... იგი ძირსდაუხრელია და ახლაც მიგვიძღვის წინ — კომუნიზმისაკენ!

ამ დროშის ქვეშ დარაზმულია მსოფლიოს ხალხთა ერთი მეასამედი, ყველაზე ძვირფასი, ნათელი მომავლის მქონე ადამიანები ჩვენი ეპოქისა.

რა გვაქვს?..

ყველაზე საუკეთესო, ყველაზე ძვირფასი: თავისუფლება... შრომის, სწავლისა და დასვენების უფლება; გვაქვს მძლავრი საბჭოთა სამშობლო, დამშვენებული ქალაქები და სოფლები, პარტიის ბრძნული ხელმძღვანელობით აყვავებული მთა და ბარი, დამორჩილებული ყამირები და წალკოტად ქცეული კუროორტები.

საბჭოთა ადამიანის გენიამ ზღაპრებში თქმული ოცნებები სინამდვილედ აქცია. ჩვენი მეცნიერთა აზრი გაცდა დედამიწის ორბიტს, საბჭოთა რაკეტამ ჯერ ალამი აიტაანა მთვარეზე, ახლა მეცნიერული კვლევაძიებისათვის მიქრის მარსისაკენ.

მთელი ჩვენი დიადი ქვეყნის მრავალეროვან ხალხთა ძმურ ოჯახში ოქტომბრის ორმოცდამეხუთე წლისთავს დიდი წარმატებებით ხვდება საბჭოთა საქართველო.

სოციალისტური რევოლუციის პირმშოა მისი გიგანტები და მძლავრი ელექტროსადგურები, გზატკეცილები და ხიდები, ბაღები და ვენახები, ნარინჯები და თურინჯები, კურორტები, მხრებგაშლილი ქალაქები და გულგაშლილი სოფლები.

გაიფურჩქნა ფორმით ეროვნული და შინაარსით სოციალისტური კულტურა. საქართველოს მშრომელები ამაყობენ მეცნიერებათა აკადემიითა და უნივერსიტეტით, ინსტიტუტებითა და სამეცნიერო-საკვლევი დაწესებულებებით, ატომური რეაქტორით, უთვალავი სასწავლებლებით, თეატრებით, ბიბლიოთეკებით, მუზეუმებით, მსოფლიოში სახელგანთქმული წიგნებით.

ყველაზე ძვირფასი მაინც ადამიანებია... მარჯვენა დალოცვილი მშრომელები — ნოვატორები, შრომაში, სწავლაში, ბრძოლაში გამოწრთობილნი, გმირობასა და მამაცობას ჩვეულნი... პურადი და გულადი ვაჟკაცები და ქალიშვილები.

მარტო ის რად ღირს, რომ საქართველოს მეჩაიეებმა წელს აიღეს შვიდწლედის ზღუდე, პირნათლად შეასრულეს ჩაის ფოთლის წარმოებისა და სახელმწიფოსათვის მიყიდვის თავიანთი სოციალისტური ვალდებულება და დაიმსახურეს სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მისალმება.

ახლა სად არ არის ცნობილი შვიდწლედის სახელოვანი გმირების—ტატიანა ჩხაიძის, დარეჯან ტაკიძის, მაყვალა ჯინჭარაძის, ტატიანა ცინცაძის, თამარ ყუფუნიას, ნორა პაკელიანის, ტატიანა ტყებუჩავას, მერი ქარდავას, გული ავიძბას, ანეტა ხურციძის, ციალა ყოლბაიასა და ბევრ სხვათა სახელები, რომლებმაც 5-10 ტონა ჩაის ფოთოლი მოკრიფეს თვითეულმა.

უთვალავია ასეთი ადამიანები საქართველოს სოფლის მეურნეობაში, მრეწველობაში, სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგში.

დღეს ჩვენ ვაქვეყნებთ მოკლე ცნობებს სათაურით „გამარჯვებათა დიადი წლები“. ამ წერილებში ნამდვილად აღმაფრთოვანებელი ციფრები და ფაქტებია, რომლებიც ნათლად ხატავენ ჩვენი დიადი ქვეყნის მძლავრ მაჯისცემას, მის მადლიან აწმყოსა და უფრო იმედიან მომავალს.

ამ დიდი შემოქმედებითი შრომის ავტორები — მუშები, კოლმეურნეები, ინტელიგენცია, მგზნებარე საბჭოთა ახალგაზრდობა — მოსწავლეები და სტუდენტები შვიდ ნოემბერს უპატაკებენ მშობლიურ კომუნისტურ პარტიას, საბჭოთა მთავრობას თავიანთ გმირულ გამარჯვებებს სახალხო მეურნეობისა და კულტურის ყველა ფრონტზე.

ნახეთ ეს ადამიანები საღამოს-წაულო დემონსტრაციაზე დედა თბილისში — ლენინის მოედანზე, რუსთაველის პროსპექტზე, ილიას, აკაკის, ვაჟას პროსპექტებზე, ნახეთ ქუთაისში, სოხუმში, ბათუმში, ცხინვალში, რუსთავში, ნახეთ ჩვენი სამშობლოს ყველა ქალაქსა და სოფელში რა მტკიცე, გულმართალი, ვაჟკაცური ნაბიჯებით, ნათელი რწმენითა და იმედებით ჩაუვლიან ტრიბუნებს, რომ დიად ოქტომბერს ფიცით აუწყონ შვიდწლედისთვის ბრძოლაში მოპოვებული ისტორიული გამარჯვებები.

უძლეველია საბჭოთა ადამიანი, უძლეველია ოქტომბრის დროშა, დიადი პარტიის, ლენინის დროშა.

დიდება მას, დიდება დიდ ოქტომბერს!

გამარჯვებათა დიადი წლები

მილსაგლინავი დგანი „400“



ჩვენი რესპუბლიკის ისტორიაში 1958 წლის 25 დეკემბერი შევიდა როგორც დიდი საწარმოო გამარჯვებისა და სახალხო ზეიმის დღე. რუსთავის მეტალურგიულ ქარხანაში ამ დღეს ამუშავდა თანამედროვე საბჭოთა წარმოების მძლავრი საგლინავი აგრეგატი — დგანი „400“, რომელიც აგრეგატ „140“-თან ერთად მილსაგლინავი სამჭროს დანადგართა კომპლექსს შეადგენს.

მასშტაბებით ეს საამქრო ერთ დიდ ქარხანას უდრის. იგი აერთიანებს შვიდ მალს. თვითეული ნახევარი კილომეტრი სიგრძისაა. აგრეგატი „400“ შედგება 12 ათასი ტონა სხვადასხვა ტექნოლოგიური მოწყობილობისაგან. 170 მექანიზმი, ორი ათასი ელექტრული და პნევმატიკური ამძრავი განლაგებულია აგრეგატის ტექნოლოგიურ ხაზზე, რომელიც ერთ კილომეტრ მანძილზეა გადაჭიმული.

ამჟამად რუსთავის მეტალურგიული ქარხნის დგანი „400“ მსოფლიოში პირველი საგლინავი აგრეგატია, რომელზეც განხორციელებულია სრული ავტომატიზაცია. მის შემქმნელ ავტორთა კოლექტივს ლენინური პრემია მიენიჭა.



მთლიანად ავტომატიზებული დგანი „400“.

შვიდწლედის პირმშო

ქართველი ავტომობილმშენებლები მოსკოვის ლიხაჩოვის სახელობის საავტომობილო ქარხნიდან იღებდნენ ჰედადი თუჯისაგან დამზადებულ 53 დასახელების დეტალს, რის ტრანსპორტირება ძვირი ჯდებოდა.

ქართველმა ავტომობილმშენებლებმა გადაწყვიტეს თვითონ მოეწყოთ ჰედადი თუჯის საამქრო. მუშაობა ფართოდ გაიშალა. ქუთაისის ავტომშენებლებს ამ დიდ საქმეში ძმური დახმარების ხელი გაუწოდეს ჩვენი ქვეყნის საავტომობილო ქარხნებისა და სხვა საწარმოების კოლექტივებმა.

ქუთაისის ორჯონიკიძის სახელობის მანქანათსამშენებლო ქარხნის კოლექტივმა სკკპ XXII ყრილობის გახსნის დღეს სამშობლოს უპატაკა ჰედადი საამქროს მშენებლობის დამთავრება, ხოლო წელს იანვარში გამოუშვა პირველი პროდუქცია.

კონვეიერიდან მოდის ქართული ავტომობილი.

საქართველოში ჰკრეფენ ციტრუსებს.

ПРОЛЕТАРИИ ВСЕХ СТРАН, СОЕДИНЯЙТЕСЬ!

ПРОЛЕТАРЕБო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საგვოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 43-ე წელი | № 261 (12469) | კვირა, 4 ნოემბერი, 1962 წ. | ფასი 2 კაპ.

საოქტომბრო საჩუქრები

გამარჯვებულთა პატაკი

საც გ. ქელეხსაევი უძღვება. შრომაში თავი ისახელეს კომუნისტური შრომის დამკვრელებმა ბ. ხუბაევმა, ი. გოგიძემ, გ. თებლოევმა, მ. ხუბაევმა და სხვ.

თბილისის კალინინის სახელობის მექანიკური ქარხნის კოლექტივი შრომაში მოპოვებული ახალი მიღწევებით ხვდება ოქტომბრის დიად დღესასწაულს. აქ ვადამდე ადრე 106,1 პროცენტით შეასრულეს ათი თვის საწარმოო დავალება და რამდენიმე ათასი მანეთის ზეგეგმითი პროდუქცია მისცეს სამშობლოს.

ქარხანაში დიდი ყურადღება ექცევა რაციონალური წინადადებების დანერგვას. მარტო ათ თვეში წარმოებაში 34 რაციონალური წინადადება დაინერგა, რომელთა წლიური ეკონომია 13.600 მანეთს შეადგენს. განსაკუთრებით აღსანიშნავია ოსტატის ო. მაღლაფერიძის რაციონალური წინადადება. მან სასხური აპარატის ბარბაცას კონსტრუქცია შეცვალა ახლით, რისი გამოყენებით ქარხანა ყოველწლიურად მიიღებს 2.555 მანეთ ეკონომიას.

ზ უგდიდ. ხორცისა და რძის მრეწველობის კომბინატის (დირექტორი ა. ქვარცხავა) მუშა-მოსამსახურეებს შორის ფართოდ გაიშალა წინასაოქტომბრო სოციალისტური შეჯიბრება, რის შედეგად 20 ოქტომბრისათვის ხორცის გადამუშავების ათი თვის გეგმა შესრულებულია 109,5 პროცენტით. განსაკუთრებული ყურადღება დაუთმო დავალებათა შესრულებას ასორტიმენტის მიხედვით. შედეგიც კარგია. ათ თვეში გეგმით გათვალისწინებული 317 ცენტნერის ნაცვლად წარმოებულია 380 ცენტნერი ყველი, კარაქის გამოშვების ათი თვის გეგმა შესრულებულია 103 პროცენტით, ერბოსი — 101 პროცენტით. ამავე დროისათვის შრომის ნაყოფიერება რვა პროცენტით გაიზარდა.

ღირსეული შეხვედრა დიდი ოქტომბრის 45 წლისთავს

ცხინვალი. კვაისის მაღაროთა სამმართველოს გამამდიდრებელი ფაბრიკის კოლექტივმა წინასაოქტომბრო სოციალისტური შეჯიბრებით აღებული ვალდებულება წარმატებით გაანადღა. ფაბრიკამ თუთიის კონცენტრატის გამოშვების წლიური გეგმა ათი ოქტომბრისათვის შეასრულა და ახლა პროდუქციას უშვებს მომავალი წლის ანგარიშში. გასული წლის ამავე პერიოდთან შედარებით წლის გადამუშავებული ათასობით ტონა მადანი, გამოშვებულია ასობით ტონა თუთიის კონცენტრატი.

სოციალისტურ შეჯიბრებაში თვალსაჩინო წარმატებას მიაღწია კომუნისტური შრომის კომკავშრომელმა ცვლამ, რომელსაც ბ. ქელეხსაევი უძღვება.

ნავთობის ოსტატები

ჰიათურა. (საკ. კორ.). საქვეყნოდ ცნობილია არხანგელსკელი ხე-ტყის დამამზადებელი ბრიგადის ბრიგადირის ი. იაკოვლევის სახელი. მისმა ბრიგადამ სამ წელსა და ცხრა თვეში შეასრულა თავისი შვიდწლიანი გეგმა, რისთვისაც ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის მისაღოცი დეპეშა დაიმსახურა.

სახელგანთქმულ არხანგელსკელ ბრიგადირს მარგანეცის ქალაქშიც ჰყავს მომდევრები. მარგანეცის ტრესტის ცენტრალური ელექტრომექანიკური სახელოსნოს კომუნისტური შრომის ბრიგადამ, რომელსაც ორდენოსანი ზენაკალი ე. ვარდოსანიძე უძღვება, სამ წელსა და 9 თვეში 109 პროცენტით შეასრულა თავისი შვიდწლიანი გეგმა და პროდუქციას 1966 წლის ანგარიშში იძლევა. ბრიგადის მტკიცე გადაწყვეტილებაა ამ შვიდწლედში შეასრულოს კიდევ ერთი შვიდწლიანი გეგმა.

ე. ვარდოსანიძის ბრიგადას მხარდამხარ მიჰყვება ხარატების კომუნისტური შრომის ბრიგადა, რომელსაც პ. ბარბაქაძე ხელმძღვანელობს.

ნაწარმოებთა ოსტატები

ბოლო ორ-სამ ოლქის მინდვრის მშრომელებმა სახელმწიფოს მიჰყიდეს 29 მილიონ 565 ათასი ფუთი პური — 200 ათასი ფუთით მეტი, ვიდრე გეგმით იყო გათვალისწინებული.

თვალსაჩინო წარმატებას მიაღწიეს ტიუმენის ოლქის მშრომელებმა მარცვლეულის წარმოების გადიდებისა და სახელმწიფოსათვის მიყიდვის საქმეში. ოლქის კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა გადაჭარბებით შეასრულეს სახელმწიფოსათვის მარცვლეულის მიყიდვის დაწესებული გეგმა, სამშობლოს ბოლეულში შეინახეს 34,6 მილიონი ფუთი პური.

პერმის ოლქის კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა ჩვენი სამშობლოს ბოლეულში შეინახეს 16,5 მილიონი ფუთი პური, 7,4 მილიონი ფუთით მეტი, ვიდრე შარშან.

ყაბარდო-ბალყარეთის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მშრომელებმა სამშობლოს ბოლეულში შეინახეს 8,5 მილიონი ფუთი პური — 500 ათასი ფუთით მეტი, ვიდრე გეგმით იყო გათვალისწინებული. რესპუბლიკის კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა სახელმწიფოს მიჰყიდეს 4,4 მილიონი ფუთი საუკეთესო სათესლე სიმინდი.

სკკპ ცენტრალური კომიტეტი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო ყუბანელ, სტავროპოლელ, ბელგოროდელ, ტიუმენელ, პერმელ და ყაბარდო-ბალყარელ მშრომელებს უსურვებენ ახალ დიდ წარმატებებს მარცვლეულისა და სოფლის მეურნეობის სხვა პროდუქტების წარმოებისა და სახელმწიფოსათვის მიყიდვის შემდგომი გადიდებისათვის ბრძოლაში და გამოთქვამენ მტკიცე რწმენას, რომ ისინი კვლავაც ბეჯითად იბრძოლებენ სასოფლო-სამეურნეო წარმოების ყველა დარგის მკვეთრი აღმავლობისა და ყოველმხრივი განვითარებისათვის.

რაკეტა მიფრინავს მარსისაკენ

საგჭოთა ადამიანის გენია იმარჯვებს

გადაიდგა ახალი ნაბიჯი კოსმოსური სივრცისა და მზის სისტემის პლანეტების შესწავლის საქმეში. საბჭოთა კავშირმა ხელოვნური თანამგზავრიდან გაუშვა მარსისაკენ კოსმოსური რაკეტა, რომელზეც დადგმულია ავტომატური საპლანეტათშორისო სადგური „მარსი-1“.

გრანდიოზული მეცნიერული ამოცანების გადაჭრას ემსახურება ავტომატური სადგურის „მარსი-1“-ის გაშვება:

„— მოეწყოს კოსმოსური სივრცის ხანგრძლივი კვლევა პლანეტა მარსისაკენ ფრენის დროს.

— დამყარდეს საპლანეტათშორისო კოსმოსური რადიოკავშირი.

— პლანეტა მარსის ფოტოსურათის გადაღება და მარსის ზედაპირის ფოტოსურათების გადმოცემა დედამიწაზე რადიოარხებით“.

ჩვენი სამამულო მეცნიერებისა და ტექნიკის ახალი გამარჯვება ნათლად მოწმობს კომუნისტური საზოგადოების ძლევამოსილებას.

ნ. მუსხელიშვილი,
საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი.

საგჭოთა მეცნიერების ახალი ტრიუმფი

მთელი მსოფლიო კვლავ განაცვიფრა საბჭოთა სამამულო ტექნიკის ახალმა გამარჯვებამ — პლანეტა მარსისაკენ კოსმოსური რაკეტის გაშვებამ.

კაცობრიობის ისტორიაში ასეთი გაშვება პირველად განხორციელდა. საინტერესოა ის ფაქტი, რომ კოსმოსური რაკეტა გაშვებულ იქნა მატარებელი რაკეტის მიერ ორბიტაზე გაყვანილი დედამიწის ხელოვნური თანამგზავრიდან.

ამ გაშვებით დაიწყო კოსმოსური სივრცისა და მზის სისტემის პლანეტების მეცნიერული შესწავლის ახალი ეტაპი.

სასიხარულოა, რომ ამ დიდი საქმის მებაირახტრე კვლავაც არის კომუნიზმის მშენებელი საბჭოთა ადამიანი.

აკადემიკოსი ე. ხარაძე.

ვიზიტი რუმინეთში

მოსკოვი, 3 ნოემბერი. (საკდესი). რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის დიდი ეროვნული კრების მიწვევით დღეს მოსკოვიდან ბუქარესტს გაემგზავრა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დელეგაცია.

დელეგაციის შემადგენლობაში არიან: სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრი, სკკპ მოსკოვის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი გ. გ. ანრამოვი (დელეგაციის ხელმძღვანელი), სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატები ა. ნ. ვიტაუკევიჩი, ბ. გ. ბუსეინოვი, ე. ა. დიომინა, კ. გ. კარაკეევი, გ. ი. კოზლოვი, ა. მ. კოზუბი, პ. ა. პასკარი, გ. ი. ჩოგოვაძე. დელეგაციის მდივანია ვ. დ. შჩერბატიხი.

შერემეტიევოს აეროდრომზე დელეგაცია გააცილეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილემ ი. ს. კოდიცამ, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატებმა და სხვებმა.

საამოგლოს გეოლოგში

ყუბანის კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა სამშობლოს ბეღლებში შეინახეს 151,6 მილიონი ფუთი მარცვალი — 3,3 მილიონი ფუთით მეტი, ვიდრე გეგმით იყო გათვალისწინებული. ხორბალი მიეყიდა 112 მილიონ ფუთზე მეტი. მიმდინარე წელს მარცვალი მიეყიდა 31,3 მილიონი ფუთით მეტი, ვიდრე 1961 წელს. ყუბანელ მშრომელებს ჯერ არასდროს არ მიუყიდიათ სახელმწიფოსათვის ასეთი რაოდენობის პური.

სტავროპოლის მხარის კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა ჩვენი სამშობლოს ბეღლებში შეინახეს 127 მილიონ 618 ათასი ფუთი პური, სახელმწიფოს მიჰყიდეს 107 მილიონ ფუთზე მეტი უძვირფასესი სასურსათო კულტურა — საშემოდგომო ხორბალი.

ბელგოროდის ოლქის მინდვრის მშრომელებმა სახელმწიფოს მიჰყიდეს

ა. ი. მიქოიანი ჩავიდა ჰავანაში

ჰავანა, 3 ნოემბერი. (საკდესი). 2 ნოემბერს საღამოს აქ ჩამოვიდა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრი ა. ი. მიქოიანი იმ მიზნით, რომ კუბის რევოლუციური მთავრობის პრემიერ-მინისტრს ფიდელ კასტროსა და სხვა კუბელ ხელმძღვანელებს გაუზიაროს აზრი საერთაშორისო მდგომარეობის საკითხებზე. აეროდრომზე ა. ი. მიქოიანს შეხვდნენ კუბის პრემიერ-მინისტრი, გაერთიანებული რევოლუციური ორგანიზაციების ეროვნული ხელმძღვანელობის პირველი მდივანი ფიდელ კასტრო და გაერთიანებული რევოლუციური ორგანიზაციების ეროვნული ხელმძღვანელობის წევრები რაულ კასტრო, ერნესტო ჩე გევარა, ემილიო არაგონესი, კარლოს რაფაელ როდრიგესი, კუბის საგარეო საქმეთა მინისტრი რაულ როა და კუბის სხვა პასუხისმგებელი პირები, აგრეთვე კუბის რევოლუციური ორგანიზაციების წარმომადგენელნი.

ა. ი. მიქოიანის განცხადება ნიუ-იორკში

ნიუ-იორკი, 3 ნოემბერი. (საკდესი). ჰავანაში გაფრენის წინ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ ა. ი. მიქოიანმა ნიუ-იორკში გაკეთა შემდეგი განცხადება:

გუშინ ნიუ-იორკში ჩამოსულისთანავე ჩვენ ვეწვიეთ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნის მოვალეობის შემსრულებელს უ თანს და გვქონდა მასთან ხანგრძლივი საუბარი. საუბარი შეეხო კარიბის ზღვის რაიონში მდგომარეობის მოწესრიგების საკითხებს ამ რაიონის ქვეყნების შვიდობისა და უშიშროების განმტკიცების ინტერესებისათვის.

ჩვენ ვეთანხმებით ბ-ნ თანს იმაში, რომ საუბარი სასარგებლო იყო.

გუშინდელი სადილის დროს, რომელზეც მაკლოი და სტივენსონი იყვნენ, ერთმანეთს გავუზიარეთ აზრები იმის შესახებ, თუ როგორ შევასრულოთ უფრო სწრაფად და უკეთ ის დებულებანი, რომლებსაც შეიცავს ნ. ს. ხრუშჩოვისა და პრეზიდენტ კენედის წერილები კარიბის ზღვის რაიონში შექმნილი საშიში სიტუაციის ლიკვიდაციისა და მდგომარეობის ნორმალიზაციის შესახებ, აგრეთვე პრემიერ ფ. კასტროს წინადადებანი, რომლებიც ცნობილი 5 პუნქტისაგან შედგება.

კუბის რევოლუციური მთავრობის ეს წინადადებანი, რომელთა მიზანია კუბის იქ, სადაც ღრმაღელე ავგჰალის ველს გკვეთს, თბილისის ვ. ი. ლენინის სახელობის ელმავალსამშენებლო ქარხნის კორპუსებს გაუშლიათ მხრები. ერთ დროს შიმშილ და უკაცრიელ მიდამოზე ახლა შრომისა და სიცოცხლის ზეიმია.

პირველი ელმავალი ქარხნის კარიბჭიდან ამ ოთხი წლის წინათ გამოვიდა, მაგრამ სად, ჩვენი ქვეყნის რომელ კუთხეში არ დაჭრილი ახლა რვაღერძიანი მაგისტრალური ქართული ელმავლები, რომლებიც კავშირში ყველაზე მძლავრ ლოკომოტივებად ითვლებიან.

ქართველ ელმავალმშენებელთა ნახელავმა ბევრი მადლობა დაიმსახურა, მაგრამ მათი შრომის ყველაზე მაღალი აღიარება ნ. ს. ხ რ უ შ ჩ ო ვ ი ს სიტყვები იყო: „ქართველ ამხანაგებს შეუძლიათ იამაყონ იმით, რომ თბილისში შექმნილი ელმავლები დადიან ჩვენი დიადი ქვეყნის მრავალ ფოლადის მაგისტრალზე“.

უფრო მეტიც. გასული წლის 13 მაისს პარტიისა და მთავრობის მეთაური პირადად ესტუმრა ქართველ ელმავალმშენებლებს და მათ ბევრი ძვირფასი რჩევა მისცა.

შარშან ქარხანამ გამოუშვა ორი ახალი ელმავლის ნიმუშები, ხოლო ამას წინათ დაპროექტებულ იქნა ახალი ელმავალი ტ-8 და დამთავრდა ტ-40 სამგზავრო ელმავლის პროექტის შედგენა.

დაჭრიან ქართული ელმავლები

ბევრ სიამოვნებით მივფრინავ ჩვენს მეგობარ კუბაში, სადაც უკვე ვიყავი 1960 წლის თებერვალში და სადაც ცხადად ვნახე კუბის რესპუბლიკის ყველა მშრომელი ადამიანის უდიდესი ენთუზიაზმი და შეკავშირება, რესპუბლიკისა, რომელსაც კუბელი ხალხის გმირი ფიდელ კასტრო მეთაურობს.

ყური მოვკარი, რომ ამერიკის პრესაში და რადიოთი, კერძოდ დღევანდელ გაზეთებზეც გამოთქვამენ ეარაუდებსა და მოსაზრებებს კუბაში ჩემი გამგზავრების მიზნის შესახებ, რომლებსაც არავითარი საფუძველი არა აქვთ.

მე მივემგზავრები იმისათვის, რომ ამხანაგურად გავუზიარო აზრი ჩვენს ახლო მეგობარს პრემიერ-მინისტრ ფიდელ კასტროს საერთაშორისო მდგომარეობის საკითხებზე.

ჰავანაში ყოფნის დროს, მე შევხვდი მსოფლიოში სახელგანთქმულ ცნობილ ამერიკელ მწერალს, ამჟამად განსვენებულ ერნესტ ჰემინგუეის, ვისი წიგნებიც ფართოდ გავრცელდა საბჭოთა კავშირში. ეგი იყო დიდი ამერიკელი, და მან მაშინ მითხრა ღირსეული სიტყვები კუბის შესახებ, სახელდობრ: „შემიძლია ერთი რამ მტკიცედ ვთქვა — რევოლუციის შედეგად კუბამ პირველად მიიღო პატიოსანი მთავრობა“.

კუბის რევოლუციური მთავრობა თავისი ხალხის სრული ნდობით სარგებლობს. იგი არავის არ ემუქრება, მიჰყავს ხალხი პროგრესისა და ბედნიერების გზით, აშენებს სოციალიზმს, იმ საზოგადოებრივ წყობილებას, რომელიც აირჩია კუბის ხალხმა და რომელიც საუკეთესოდ მიაჩნია.

ჩვენ გულწრფელი მეგობრობის გრძნობები გვაქვს და დიდ პატივს ვცემთ კუბელ ხალხს, მის მთავრობას, პრემიერ ფიდელ კასტროს და ყოველმხრივ მხარდაჭერასა და დახმარებას ვუწევთ კუბას.

ნ. ს. ხრუშჩოვის 28 ოქტომბრის წერილში პრეზიდენტ კენედისადმი მტკიცედ და ნათლად ნათქვამია, რომ ჩვენ „გვინდა შევქმნათ კუბელი ხალხის რწმენა, რომ მასთან ერთად ვართ და არ ვიხსნით პასუხისმგებლობას კუბელი ხალხისადმი დახმარების გაწევისათვის“.

ა. ი. მიქოიანი ეწვია ქალაქ ტაგანროგს

ტაგანროგი, 3 ნოემბერი. (საკდესი). ა. ი. მიქოიანი ეწვია ქალაქ ტაგანროგს. ქალაქის ბინადრებმა ენთუზიაზმით მიიღეს ა. ი. მიქოიანი.

ვეხვედრა სკკპ ცენტრალურ კომიტეტში

2 ნოემბერს სკკპ ცენტრალურ კომიტეტში ამხანაგები ნ. ს. ხრუშჩოვი, ლ. ი. ბრეჟნევი, ფ. რ. კოზლოვი, ა. ნ. კოსიგინი შეხვედნენ გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის დელეგაციას, რომლის შემადგენლობაშიც არიან ამხანაგები ვ. ულბრიხტი, ე. ჰონეკერი, ბ. ლაიშნერი, ე. აპელი და კ. ბაგერი.

შეხვედრაში საბჭოთა კავშირის მხრივ აგრეთვე მონაწილეობდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ვ. ე. დიმშიცი; სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ვ. ნ. ნოვიკოვი; სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ა. ა. გრომიკო; სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრი, სსრ კავშირის საგარეო ვაჭრობის მინისტრი ნ. ს. პატოლიჩევი; სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრობის კანდიდატი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს საგარეო ეკონომიური ურთიერთობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე ს. ა. სკაჩკოვი; სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო სამეცნიერო-ეკონომიური საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ს. მ. ტიხომიროვი; სსრ კავშირის ელჩი გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში მ. ვ. პერვუხინი; გერმანიის მხრივ: გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრი, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილე ო. ვინცერი; გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრი, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ელჩი სსრ კავშირში რ. დელინგი.

შეხვედრის დროს გაიმართა აზრთა ფართო გაზიარება ორივე მხარისათვის საინტერესო საკითხებზე.

შეხვედრამ ჩაიარა გულწრფელი მეგობრობისა და თანამშრომლობის სულისკვეთებით და ცხადყო შეხედულებათა სრული ერთიანობა ყველა განხილულ საკითხზე.

პენტაგონის გააფთრება

მონტევიდეო, 3 ნოემბერი. (საკდესი). „რაკეტული მოედნები კი არა, რევოლუცია — აი, რა აღელვებს ვაშინგტონს. ეკონომიური კრიზისის ნიშნები ქვეყნის შიგნით, პროგრესული ძალების ზრდა მთელ მსოფლიოში — აი მიზეზები, რომლებიც აიძულებენ ამერიკის შეერთებულ შტატებს მოაწყონ სამხედრო ავანტიურა“, — აცხადებს გაზეთი „ეპოქა“, კომენტარს უკეთებს რა უკანასკნელ ამბებს კარიბის აუზის რაიონში.

ვერაფერი ვერ დაფარავს ამერიკის შეერთებული შტატების მოქმედების მეკობრულ ხასიათს, აღნიშნავს გაზეთი. მათ მიაჩნიათ, რომ უფლება აქვთ იკისრონ პოლიციური ფუნქციები ოკეანეში, განსაზღვრონ, თუ რომელ გემებს შეუძლიათ, და რომელ გემებს არ შეუძლიათ გაფრენა. ამერიკის შეერთებული შტატები საბაბად იმოქმედენ შეიარაღების თავმოყრას კუბაში. მაგრამ კუბას აქვს შეიარაღების უფლება, რადგან მუდამ მოელის აგრესიის საფრთხე. კენედის ხომ არავისათვის უკითხავს ნებართვა ათობით საჰაერო ბაზების შექმნისათვის, რომელებიც მთელ მსოფლიოშია გაბნეული, აღნიშნავს „ეპოქა“.

ამერიკის თვითმფრინავები კვლავ არღვევენ კუბის საჰაერო სივრცეს. ამერიკის სამხედრო გემები კვლავ ქმნიან ბლოკადას კუნძულის გარშემო. კუბის რევოლუცია — აი რა აღელვებს ვაშინგტონს, იწვევს პენტაგონის გენერლების გააფთრებას.



ოქტომბერი და მშვიდობა

ერთი დიდმა ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ დასაბამი მისცა ახალ ეპოქას — კაპიტალიზმის მსხვრევისა და კომუნიზმის დამკვიდრების ეპოქას. მოხდა ძირეული გარდატეხა საერთაშორისო ურთიერთობაშიც. რომლის განვითარებას ახლა განსაზღვრავს ის ფაქტი, რომ ერთიმეორის გვერდით არსებობენ მობილიზაციის საზოგადოებრივი სისტემების მქონე სახელმწიფოები.

მშვიდობისადმი მოწოდება, ყველა ხალხთან მეგობრობისადმი მისწრაფება, დამანგრეველი ომების საფრთხის თავიდან აცილებისათვის ბრძოლა, მშვიდობიანი თანაარსებობის მტკიცე და თანმიმდევრული პოლიტიკა მუდამ იყო საბჭოთა სახელმწიფოს ლენინური საგარეო პოლიტიკის ძირითადი პრინციპი, გენერალური ხაზი. ჯერ კიდევ ისტორიულ დეკრეტში ზავის შესახებ, რომელიც მიღებული იყო 1917 წლის 8 ნოემბერს, საბჭოთა სახელმწიფომ მოუწოდა მეომარ სახელმწიფოებს შეეწყვიტათ ომი, დაედოთ სამართლიანი დემოკრატიული ზავი და ყველა ხალხს მიმართა მოწოდებით თვითონ აეღოთ ხელში მშვიდობის საქმე. მას შემდეგ 45 წლის განმავლობაში საბჭოთა სახელმწიფო კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით განუხრელად ახორციელებს მშვიდობისმოყვარულ პოლიტიკას.

დეკრეტი ზავის შესახებ, საბჭოთა მთავრობის მიმართვა მუსლიმანური აღმოსავლეთის ხალხებისადმი უმნიშვნელოვანესი დოკუმენტებია, რომლებსაც უშუალო კავშირი აქვთ კოლონიური და დამოკიდებული ქვეყნების ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობასთან. ოქტომბრის გავლენით შემდგომ წლებში გაჩაღდა რევოლუციური ბრძოლები ჩინეთში, ინდოეთში, ავღანეთში, სპარსეთში, თურქეთში, საუდის არაბეთში, ეგვიპტეში. ეს ძლიერი შერყევა იყო კოლონიური სისტემის.

საბჭოთა სახელმწიფომ თავისი არსებობის პირველივე დღეებიდან კატეგორიულად უარყო საერთაშორისო ურთიერთობაში ყველაფერი, რაც დაფუძნებული ძარცვაზე, ძალადობაზე, დაპყრობაზე, მან გადაჭრით გამოაცხადა ყველა ქვეყანასთან კეთილმეზობლური ურთიერთობისა და თანასწორუფლებიანი ეკონომიური და სხვა კავშირის პრინციპი. საბჭოთა სახელმწიფოს უკვე პირველი ხელშეკრულებანი და შეთანხმებანი, დადებული მის მეზობლებთან — ავღანეთთან, სპარსეთთან, თურქეთთან 1919-1921 წლებში, დიდ და პატარა სახელმწიფოებს შორის თანასწორუფლებანი ურთიერთობის ნიმუშები იყო.

ექსპლოატატორულმა კლასებმა მთლიანად გაუტეხეს სახელი დიპლომატიას, გადაავიწყეს იგი გაიძვერობის, მოტყუების, ინტრიგების, ვერაგობის განსახიერებად. ძველი ბურჟუაზიული დიპლომატია აგებული იყო პრინციპზე: „ადამიანს ენა იმისთვის აქვს, რომ თავისი აზრები დფაროს“. გასაგებია, რომ ასეთი პრინციპით ხელმძღვანელობა შეეძლოთ მხოლოდ იმათ, ვისაც წმინდა აზრები არა აქვს. საბჭოთა სახელმწიფოსათვის სულაც არ არის საჭირო დაფაროს თავისი მიზნები, მოტივები, მისწრაფებანი. პირიქით, ჩვენ ვესწრაფვით იმას, რომ ჩვენი პოლიტიკის შესახებ რაც შეიძლება მეტმა ადამიანმა იცოდეს. საბჭოთა სახელმწიფოს წარმომადგენლები მუდამ ლაპარაკობდნენ სიმართლის ენაზე, ხოლო სიმართლე, როგორც ცნობილია, უვიზებოდ მოგზაურობს.

ავსტრიელი იეზუიტი ვეტერი, რომელიც „რუსეთის საქმეების სპეციალისტად“ ითვლება, ცდილობს დაამტკიცოს, რომ მშვიდობიანი თანაარსებობის იდეა თითქოს „არ გამომდინარობს“ მარქსიზმ-ლენინიზმის მოძღვრებიდან. ბინდულ რევანშისტთა ერთ-ერთი მეთაური, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის სამხედრო მინისტრი „შტრაუსი ამერიკულ ჟურნალ „ფორინ აფერსში“ წერს, რომ ლენინს თითქოს საკირიო მიაჩნდა „პროგოცირება და ომისადმი წაქეზება“. ამერიკული გაზეთი „ნიუ-იორკ ტაიმსი“ 1960 წლის 13 თებერვლის ნომერში თავის მკითხველებს „უმტკიცებდა“, სსრ კავშირის ახლანდელი პოლიტიკა „ცარიზმის საგარეო პოლიტიკის გაგრძელებაა“. ასეთ „აღმოჩენებს“ იმპერიალიზმის აგენტები და ტრუბადურები ხშირად აკეთებენ. მაგრამ ეს მოწმობს მათი პატრონების არა ძალას, არამედ სისუსტეს.

თავისი მოქმედების მომდევნო წლების განმავლობაში საბჭოთა სახელმწიფო ახორციელებდა კაპიტალისტურ ქვეყნებთან მშვიდობიანი თანამშრომლობის პრინციპებს. განიხილავს რა საგარეო პოლიტიკას საშინაო პოლიტიკასთან მჭიდრო, განუყრელ კავშირში, ჩვენი პარტია მიუთითებდა, რომ საბჭოთა ხალხი უაღრესად დაინტერესებულია მტკიცე ხანგრძლივი მშვიდობით სოციალიზმის წარმატებითი მშენებლობისათვის.

განსაკუთრებულ ინტერესს წარმოადგენს ლენინის მითითებანი ამერიკის შეერთებულ შტატებთან საბჭოთა სახელმწიფოს მშვიდობიანი ურთიერთობის შესაძლებლობისა და საჭიროების შესახებ. უპასუხებდა რა 1920 წლის თებერვალში ამერიკულ გაზეთ „ნიუ-იორკ ივნინგ ჯორნერის“ კორესპონდენტის კითხვებზე, ლენინი ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ საბჭოთა რუსეთი მზად არის დაამყაროს საქმიანი ურთიერთობა ამერიკასთან, ისევე როგორც ყველა ქვეყანასთან, რომ „საბჭოთა სახელმწიფოსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის მშვიდობიანი თანამშრომლობისათვის ჩვენი მხრივ არავითარი დაბრკოლება არ არის.

„დაე ამერიკელი კაპიტალისტები ჩვენ ნუ შეგვეხებიან. ჩვენ მათ არ შევეხებით“, — აღნიშნავდა ვ. ი. ლენინი.

როცა ვისიმე გამოცდა გინდა, მას ძალაუფლება მიეცეო, — ამბობს ფრანგული ანდაზა. საბჭოთა კავშირის და სოციალიზმის ყველა ქვეყნის ხალხები თვალნათლივ დარწმუნდნენ იმაში, რომ ხელისუფლების სათავეში ჩამდგარი კომუნისტების სიტყვებს მთლიანად ადასტურებს მათი პოლიტიკა.

საბჭოთა კავშირი, მშვიდობისა და საერთაშორისო თანამშრომლობის პოლიტიკის ერთგული, ამკამადაც ისწრაფვის გაიფართოოს ვაჭრობა ყველა ქვეყანასთან, მიუხედავად მათი საზოგადოებრივი წყობილებისა. ამერიკის შეერთებული შტატების და ზოგიერთი სხვა კაპიტალისტური სახელმწიფოს გაფფრებული წინააღმდეგობის მიუხედავად, სსრ კავშირისა და სოციალისტური ბანაკის სხვა ქვეყნების სავაჭრო ვაჭრობა წლითიწლობით წარმატებით ვითარდება. ამკამად საბჭოთა კავშირს აქტიური სავაჭრო ურთიერთობა აქვს 80-ზე მეტ ქვეყანასთან.

ასეთ ისტორიულ პირობებში კომუნისტური პარტია შემოქმედებითად აკეთებს და ამდიდრებს საბჭოთა სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკის მშვიდობისმოყვარულ პრინციპებს. სწორედ ახალი ვითარების მიხედვით ჩვენი პარტია აყენებს უმნიშვნელოვანეს თეზისს ომის შესახებ, რომ ამკამად არ არის ომის ფატალური გარდუვალობა, რომ არსებობს მსოფლიო ომის თავიდან აცილების რეალური შესაძლებლობანი. ამბები, რომლებიც უკანასკნელ წლებში ეგვიპტეში, სირიაში, ლიბანში, ერაყში, ტაივანის სრუტეში და ამ უკანასკნელ დღეებში კუბაზე მოხდა, მთლიანად ადასტურებენ ამ დასკვნის სისწორეს.

გადაჭრით რომ უპერს მხარს სსრ კავშირსა და კაპიტალისტურ ქვეყნებს შორის თანამშრომლობისა და ეკონომიური შეჯიბრების პოლიტიკას, კომუნისტური პარტია ნათლად ხედავს იმ სიძნელეებს, რომლებსაც ამ გზაზე აუცილებლად შეხვდებოდა საბჭოთა სახელმწიფო. ეს სიძნელეები რომ დაეძლია და გაეკაფა გზა მშვიდობიანი თანაარსებობისაკენ, მან განსაზღვრა ორი სისტემის თანამშრომლობის პრინციპები: მხარეთა თანასწორუფლებიანობა; საშინაო საქმეებში ურთიერთჩაურევლობა; ნაკისრ ვალდებულებათადმი ერთგულება; მუქარის, დაშინებისა და შანტაჟის მეთოდზე ხელის აღება.

საბჭოთა კავშირის საგარეო პოლიტიკა ამ პრინციპების ზუსტად დაცვაზეა დაფუძნებული. დიდ და პატარა ქვეყნებთან შეთანხმებათა დადებისას საბჭოთა კავშირი ემყარება მხარეთა სრულთანასწორუფლებიანობას, პატივისცემით ეკიდება ეროვნულ სუვერენიტეტს, უარყოფს ყოველგვარ ჩარევას სხვა ქვეყნების საშინაო საქმეებში.

საბჭოთა კავშირს მრავალგზის მოუხდა მტკიცედ მიეთითებინა იმპერიალიზმის ბანაკის პოლიტიკოსებისათვის, რომლებიც კარგავდნენ რეალურის გრძნობას და ცდილობდნენ დიადი სოციალისტური სახელმწიფოსათვის თავს მოეხვიათ არათანასწორუფლებიანი შეთანხმებანი. ისტორია გვიჩვენებს, რომ ასეთი ცდები ყოველთვის სამარცხვინოდ იფუშებოდა და საბედნიერო შედეგებით თავდებოდა მათი ინიციატორებისათვის. ზედმეტი არ იქნება გავიხსენოთ, რომ მეორე მსოფლიო ომის წინ ინგლისისა და საფრანგეთის მმართველი წრეები ცდილობდნენ თავს მოეხვიათ საბჭოთა კავშირისათვის შეთანხმებანი, რომლებშიც არ იყო ნაცვალგებისა და თანაბარ ვალდებულებათა ელემენტარული პრინციპი, რაც უთუოდ საჭიროა ყველა თანასწორუფლებიან ხელშეკრულებაში.

ცნობილია, ამ კომბინაციებისა, ისევე როგორც ინგლისის, ამერიკის შეერთებული შტატებისა და საფრანგეთის რეაქციული მმართველი წრეების მთელი მაშინდელი პოლიტიკის მიზანი იყო წაესისინებინათ გერმანიისათვის საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ, დაეუძლურებინათ ჩვენი ქვეყანა, რათა შემდეგ ეკარნახათ მისთვის თავიანთი დამპყრობლური მოთხოვნები. ცნობილია, თუ რით დამთავრდა ეს. ამ ვერაგულმა და ბეცმა პოლიტიკამ საფრანგეთი მიიყვანა 1940 წლის კატასტროფამდე, ხოლო ინგლისს ომის წლებში დიდი უბედურება და ზარალი დაატყდა. ამ პოლიტიკამ დიდად შეუწყო ხელი იმას, რომ კაცობრიობა ჩაბორეულ იქნა სისხლმღვრელ მსოფლიო ომში, რომელმაც ჩვენი პლანეტის ყველა კონტინენტის 60 მილიონამდე ადამიანის სიცოცხლე იმსხვერპლა.

ფაქტები მეტყველებენ, რომ ომის გამჩაღებლებს არა სურთ შეურიგდნენ ისტორიის განვითარების ობიექტურ მსვლელობას. მათ ეშინიათ მშვიდობის, დემოკრატიისა და სოციალიზმის ბანაკის ქვეყნებთან შეთანხმებებისა და თანამშრომლობისა, რადგან ეს ძირს უთხრის საერთაშორისო რეაქციის პოზიციებს და უსაგნოს ხდის მის აგრესიულ პოლიტიკას. იმპერიალისტებისათვის ომი, გამალებული შეიარაღება მეტად მომგებიანი, შემოსავლიანი საქმეა, ამით ისინი ჯიბეს ისქელებენ.

კომუნისტები დაუცხრომლად მოუწოდებენ მშრომელებს გამოაამჟღავნონ და ამხილონ მსოფლიო ბატონობის დამყარების კაცთმოძულეობიანი პროგრამა, რომელსაც ამერიკელი იმპერიალისტები ახორციელებენ. აქტიურად იბრძოლონ თავიანთი სასიცოცხლო ინტერესებისათვის, მთელ მსოფლიოში მტკიცე მშვიდობისა და უშიშროებისათვის. კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა მუდამ ამხილებენ იმპერიალისტი აგრესორების პოლიტიკას — ძარცვის, ძალმომრეობისა და ომების პოლიტიკას.

ახალი შესანიშნავი ძალით ჟღერს ვ. ი. ლენინის ხოტყვები იმის შესახებ, რომ „ჩვენს სამშვიდობო პოლიტიკას იწონებს დედამიწის მოსახლეობის უდიდესი უმრავლესობა“. ამას მკაფიოდ მოწმობს ის, რომ იზრდება ხალხთა მასების წინააღმდეგობა რეაქციის ძალების მიმართ, რომლებიც ისწრაფვიან გაიაღონ ახალი ომი სსრ კავშირისა და სახალხო დემოკრატიის ქვეყნების წინააღმდეგ. მოწმობს მშვიდობის მოსახრეთა მძლავრი მოძრაობა, კომუნისტური და მუშათა მოძრაობა, რომელიც სულ უფრო ფართოვდება.

ამკამად ისეთი პირობები შეიქმნა, რომლებშიც ომის გამჩაღებლები დაუსჯელად ვერ გადაჩეხენ კაცობრიობას ომის უფსკრულში. და ახალი დროების მაუწყებელი იყო ოქტომბრის რევოლუცია, რომელმაც უდიდესი გადატრიალება მოახდინა არა მარტო სსრ კავშირის ხალხთა ცხოვრებაში. მან, უეჭველია, უდიდესი გაელენა მოახდინა მთელი კაცობრიობის ისტორიულ ბედზე. „ავრორას“ ზალპებით გაკვლეულ გზას დაადგნენ დიდი ჩინელი ხალხი, ეგვიპტისა და აზიის მთელი რიგი ქვეყნების მშრომელები. სწორედ ის, რომ სოციალიზმი გასცდა ერთი ქვეყნის ფარგლებს და მსოფლიო სისტემად გადაიქცა, ჩვენი ეპოქის მთავარი ნიშანია, მსოფლიო ისტორიის ყველაზე მნიშვნელოვანი მოვლენაა 1917 წლის ოქტომბრის შემდეგ.

მსოფლიო კაპიტალისტურ სისტემას რომ მოსწყდნენ და ჩამოშორდნენ ქვეყნები, რომლებმაც საბჭოთა კავშირთან ერთად და მისი მეთაურობით შექმნეს ერთიანი სოციალისტური ბანაკი [illegible] ... [illegible] ... [illegible] ...

სპეციალისტები —სახალხო მეურნეობას

სკკპ XXII ყრილობის მიერ მიღებული პროგრამა კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მომზადების გრანდიოზულ ამოცანებს სახავს. ტექნიკური და ეკონომიური მეცნიერება მოწოდებულია აქტიურად ეხმარებოდეს პარტიას ჩვენი საზოგადოების ეკონომიური განვითარების ძირეული პრობლემების დამუშავებაში.

ჩვენი ეკონომიური მეცნიერება მოწოდებულია განაზოგადოს ეკონომიური პროცესები, რომლებიც ხდება. სოციალიზმიდან კომუნიზმში გადასვლის პირობებში, მოგვცეს ამ გადასვლის ეკონომიურ კანონზომიერებათა კონკრეტული ანალიზი. ეკონომიურ მეცნიერებას მოეთხოვება ტექნიკური პროგრესის პირობებში ძირითადი და საბრუნავი ფონდების უკეთ გამოყენების, შრომის ნაყოფიერების ზრდის, სოციალისტური დაგროვების, შრომის მატერიალური სტიმულირების, შრომის რესურსების რაციონალური გამოყენების პრობლემების დამუშავება.

ყველა ამ საკითხის გადაწყვეტის საქმეში დიდი მნიშვნელობა ენიჭება ჩვენი კადრების ეკონომიური ცოდნით შეიარაღებას და განსაკუთრებით საინჟინრო კადრების ეკონომიურ მომზადებას.

სკკპ XXI და XXII ყრილობებმა და სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1960 წლის ივლისის პლენუმმა განსაკუთრებული ყურადღება მიაქციეს წარმოების კონკრეტული ეკონომიკის საკითხების ღრმად შესწავლას და ინჟინერ-ტექნიკური პერსონალის ეკონომიური განათლების გაუმჯობესებას.

პრაქტიკიდან ცნობილია, რომ ბევრ ინჟინერ-ტექნიკოსს, რომელიც კარგად ერკვევა ტექნიკის და ტექნოლოგიის საკითხებში, ხშირად უნარი არ შესწევს ეკონომიის თვალსაზრისით შეფასოს ესა თუ ის ტექნიკური საკითხი. ეკონომისტები კი, პირიქით, ჯეროვნად ვერ ერკვევიან ტექნიკისა და ტექნოლოგიის საკითხებში. ასეთ შემთხვევაში ინჟინერ-ეკონომისტის სპეციალობას გადამწყვეტი როლი აქვს. ამ სპეციალობაში შერწყმულია როგორც ტექნიკური, ისე ეკონომიური ცოდნა. რაც საადვილებს ერთდროულად ტექნიკისა და ეკონომიკის საკითხებში გარკვევას.

ჩვენი რესპუბლიკის საწარმოებში ფართოდ შეხვდებით ინჟინერ-ეკონომისტებს, ხოლო თუ ვინმე ასეთი არის, ისიც სხვა მოკავშირე რესპუბლიკიდან არის მოწვეული.

მეტ წილ შემთხვევებში საგეგმო-ეკონომიური და საგეგმო-საწარმო ან სადისპეტჩერო განყოფილებების ხელმძღვანელებად ქართველები. საამქროებში ან თვით განყოფილებებში მუშაობენ ზოგადი მომზადების ეკონომისტები, რომლებიც ნაკლებად იცნობენ ტექნიკურ და საწარმოო საკითხებს. ეს კი უარყოფით გავლენას იხდენს წარმოების მუშაობაზე.

ტექნიკური და ეკონომიური ცოდნის შერწყმა საშუალებას აძლევს ინჟინერ-ეკონომისტს განახორციელოს წარმოების მუშაობის ტექნიკურ-ეკონომიური ანალიზი. ინჟინერ-ეკონომისტები მუშაობენ საწარმოო-საგეგმო, შრომის და ხელფასის, სადისპეტჩერო, ტექნიკური ნორმირების, საქარნოო მმართველობისა და სხვა ორგანოებში.

საპროექტო და საგეგმო ორგანიზაციებში ინჟინერ-ეკონომისტები მუშაობენ ტექნიკურ-ეკონომიურ განყოფილებებში.

სამეცნიერო-კვლევითს ინსტიტუტებში ისინი მუშაობენ მეცნიერ მუშაკებად ტექნიკურ-ეკონომიურ გამოკვლევებზე. ისინი საჭიროა სახალხო მეურნეობის საბჭოების, სამინისტროების, დარგობრივი სამმართველოების, ტრესტების, კომბინატების ორგანოებში ტექნიკურ-საგეგმო, შრომის და ხელფასის და სხვა განყოფილებებში.

წარმოების კონკრეტულ პირობებში ინჟინერ-ეკონომისტები მუშაობენ ისეთ საკითხებზე, როგორიც არის: წარმოების ტექნიკური მომზადების ორგანიზაცია და დაგეგმვა; მანქანების, აგრეგატების, მასალების ტექნიკურ-ეკონომიური დასაბუთება და ნორმირება; საწარმოო პროგრამების, საწარმოო სიმძლავრეების, საამქროების და ქარხნების გაძტარუნარიანობის გაანგარიშება; შრომის და ხელფასის ორგანიზაცია და დაგეგმვა; ტექნიკურ საწარმოო-საფინანსო გეგმის დამუშავება და ანალიზი. საიარაღო და სარემონტო მეურნეობის ორგანიზაცია და დაგეგმვა; წარმოების ოპერატიულ-კალენდარული დაგეგმვა; წარმოების დისპეტჩერიზაცია; საწარმოო გეგმის შესრულების კონტროლი; წარმოების სამეურნეო საქმიანობის ტექნიკურ-ეკონომიური ანალიზი; ახალი ტექნიკისა და ტექნოლოგიური პროცესების ტექნიკურ-ეკონომიური დასაბუთება და ყველაზე ხელსაყრელი ვარიანტების შერჩევა და სხვ.

ჩვენი ქვეყნის ბევრ ტექნიკურ უმაღლეს სასწავლებლში არსებობს საინჟინრო-ეკონომიური ფაკულტეტები, რომლებიც ამზადებენ ინჟინერ-ეკონომისტებს სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგებისათვის. ამიერკავკასიის რესპუბლიკებს არცერთ უმაღლეს სასწავლებელში არ წარმოებს ინჟინერ-ეკონომისტების მომზადება.

დღევანდელ პერიოდში, როდესაც იქმნება და შენდება მრავალი სამრეწველო საწარმო სხვადასხვა დარგებში, საჭიროა წინასწარ გათვალისწინებულ იქნას ამ საწარმოთა მაღალკვალიფიციური კადრებით და მათ შორის ინჟინერ-ეკონომისტებით უზრუნველყოფის საკითხი.

მართალია, ეკონომისტებს სახალხო მეურნეობის დარგებისათვის ამზადებს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, მაგრამ ესენი გამოდიან ზოგადი პროფილის სპეციალისტები, რომლებიც არასაკმარისად იცნობენ ტექნიკას, ტექნოლოგიას და წარმოებას საერთოდ. ასეთი ზოგადი პროფილის ეკონომისტების მომზადება უკვე ვერ აკმაყოფილებს სახალხო მეურნეობის ცალკეულ დარგთა მოთხოვნებს, მთ არა აქვთ კონკრეტული სპეციალიზაცია მრეწველობის ძირითადი დარგების მიხედვით.

მხედველობაში უნდა მივიღოთ ის გარემოებაც, რომ დღევანდელ პირობებში ეკონომიური გაანგარიშებანი, სახალხო მეურნეობის და მის ცალკეულ დარგთა რაციონალური, ოპტიმალური დაგეგმვის საკითხები მუშავდება თანამედროვე ელექტრონულ-სათვლელი საანგარიშო მანქანების ფართოდ გამოყენებით, რაც მოითხოვს ელექტროტექნიკის, მექანიკის, უმაღლესი მთემატიკის, ელექტრონიკის, კიბერნეტიკის და ტექნიკის სხვა დარგთა ღრმა ცოდნას, ურომლისოდ შეუძლებელია ამ მანქანების პრაქტიკული გამოყენება. ჩვენი ქვეყნის მსხვილ სამრეწველო ცენტრებში (მოსკოვი, ლენინგრადი, როსტოვი) უკვე შექმნილია სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტები და ლაბორატორიები, რომლებიც სწავლობენ მრეწველობის ეკონომიკასა და დაგეგმვაში ელექტრო-საანგარიშო მანქანებისა და მთემატიკური მეთოდების გამოყენების გზებსა და საშუალებებს.

ამ მიმართულებით გარკვეულ მუშაობას აწარმოებს საქართველოს ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის მრეწველობის ეკონომიკისა და წარმოების ორგანიზაციის კათედრაც.

ჩვენი რესპუბლიკის მგეგმავი ორგანოები რატომღაც არ ითვალისწინებდნენ ინჟინერ-ეკონომისტების მომზადებას, ხოლო დროული და საჭირო კია საქართველოს ლენინის სახელობის პოლიტექნიკურ ინსტიტუტში სინჟინრო-ეკონომიური ფაკულტეტის შექმნა. პირველ ეტაპზე შეიძლება გაიხსნას ჯგუფები მექანიკა-მანქანათმშენებლობის ფაკულტეტთან, ხოლო მანქანათმშენებლობის ტექნოლოგიის სპეციალობის ჯგუფებიდან გამოიყოს ქვეჯგუფები 7-10 სტუდენტის რაოდენობით, მომავალში კი დაისვას საკითხი უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სახელმწიფო კომიტეტის წინაშე ამ სპეციალობის ცალკე ჯგუფად გამოყოფის შესახებ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სპეციალური ბრძანების საფუძველზე კათვალისწინებულია საქართველოს სსრ ერთ-ერთ უმაღლეს სასწავლებელში ინჟენერ-ეკონომისტთა მომზადება. ასეთი სპეციალობის ჯგუფის გახსნა მიზანშეწონილია საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში მექანიკა-მანქანათმშენებლობის ფაკულტეტთან ინჟინერ-ეკონომისტ-მანქანათმშენებლის პროფილით.

ინჟინერ-ეკონომისტის სპეციალობის სასწავლო გეგმა ითვალისწინებს ტექნიკური დისციპლინების სწავლებას საკმაოდ დიდი რაოდენობით (მათემატიკა, მასალათა გაძძლეობა, ტექნოლოგია, მათემატიკური სტატისტიკა, მანქანათა კონსტრუირება და სხვ.). ამის საფუძველზე მიზანშეწონილია ეს სპეციალობა გაიხსნას სწორედ საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში. შემდგომი წლებისათვის კი საჭირო იქნება ინჟინერ-ეკონომისტების სპეციალობის ჯგუფები გაიხსნას სამთო, მეტალურგიულ, სამშენებლო, ქიმიისა და სხვა ფაკულტეტებზეც.

საგულისხმოა ის ფაქტი, რომ პოლიტექნიკურ ინსტიტუტში გვაქვს ინჟინერ-ეკონომისტის სპეციალობა მხოლოდ რკინიგზის ტრანსპორტის პროფილით, ისიც დაუსწრებელი სწავლების ფორმით, რაც საკმარისი არ არის.

ზემოთ დასმულ საკითხს სერიოზული ყურადღება უნდა მიაქციონ რესპუბლიკის საგეგმო კომისიამ, სახალხო მეურნეობის საბჭომ და უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სახელმწიფო კომიტეტმა. ეფიქრობთ, ეს საკითხი დადებითად უნდა გადაწყდეს სკკპ XXI და XXII ყრილობების მიერ მიღებული ისტორიული დადგენილებების საფუძველზე, სადაც განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ტექნიკური ინტელიგენციის ეკონომიური ცოდნით შეიარაღების საკითხს.

დოცენტი ბ. კელენჯერიძე,
საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის მრეწველობის, ეკონომიკისა და წარმოების ორგანიზაციის კათედრის გამგე.

მადლობა პარტიას



სტუმრად „რუსული ავიაციის პაპასთან“ : კომენტარი ბ. ი. როსინსკისთან

მოსკოვის ჩუნარ შესახვევში დგას ძველი სახლი. აქ ცხოვრობს ერთ-ერთი პირველი რუსი მფრინავი, სსრ კავშირის დამსახურებული ავიატორი პოლკოვნიკი ბორის ილიოდორის-ძე როსინსკი. 1918 წლის 1 მაისს ოდესაზე გამართული პარადის დროს ვლადიმერ ილიას-ძე ლენინმა დიდად შეაფასა მფრინავის ოსტატობა და უწოდა მას „რუსული ავიაციის პაპა“. მის ფრენას დიდმა ლენინმა თვალყური ადევნა 44 წლის წინათაც, როცა დიდი ოქტომბრის პირველ წლისთავზე — 1918 წლის 7 ნოემბერს ბ. ი. როსინსკიმ წითელ მოედანს გადაუფრინა.

მრავალი წლის განმავლობაში ბ. ი. როსინსკი აქტიურად უწყობდა ხელს საბჭოთა საჰაერო ფლოტის განვითარებას. ახლა ბორის ილიოდორის-ძე 78 წლისაა, მაგრამ 1950 წელსაც კი მან იფრინა საავიაციო დღესასწაულისათვის მზადების დროს.

დღეს ჩვენ ვეწვიეთ ბორის ილიოდორის-ძე როსინსკის სწორედ იმ საათებში, რომლებიც საუდადოდ იქნება მისთვის ღირსსახსოვარი. უხუცესმა საბჭოთა ავიატორმა ეს-ეს არის შეიტყო, რომ სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღო დადგენილება სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და ნიკიტა სერგის-ძე ხრუშჩოვისადმი მისი წერილის გამო. ამ წერილში ბორის ილიოდორის-ძე ითხოვდა მიეღოთ სკკპ რიგებში. სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა განიხილა ბ. ი. როსინსკის თხოვნა და მიიღო დადგენილება რუსეთის ერთ-ერთი პირველი ავიატორის პარტიის წევრად მიღების შესახებ.

ბორის ილიოდორის-ძის ბინაში დიდი გამოცოცხლება სუფევს. მოსალოცად მოვიდნენ მახლობლები, მეგობრები. განუწყვეტლივ წკრიალებს ტელეფონი.

ბორის ილიოდორის-ძე აღფრთოვანებულია. იგი ამბობს:

— დღევანდელი დღე ერთ-ერთი ყველაზე ღირსსახსოვარი დღეა ჩემი ხანგრძლივი სიცოცხლის მანძილზე. ენით გამოუთქმელია იმ სიხარულის გრძნობა, რომელიც განვიცადე, როცა შევიტყე, რომ როგორც გამონაკლისი, საკანდიდატო სტაჟის გაუვლელად მიმიღეს ჩვენი სახელოვანი პარტიის რიგებში. სულით და გულით ვუძღვნი გულითად მადლობას ცენტრალურ კომიტეტს, ძვირფას ნიკიტა სერგის-ძე ხრუშჩოვს დიდი ნდობისათვის, რაც მე გამიწიეს.

ბორის ილიოდორის-ძე გაცხოველებულ საუბარში იგონებს თავისი ცხოვრების მრავალ ამბავს. მათ შორის განსაკუთრებული ადგილი უკავია შეხვედრებს ვლადიმერ ილიას-ძე ლენინთან. უხუცესი მფრინავი ლაპარაკობს იმ ბედნიერებაზე, რომელსაც განიცდის ახლა, როცა ჩვენმა სამშობლომ უმაგალითო აუვავება მიაღწია.

ჩვენ ვუსურვებთ ბორის ილიოდორის-ძეს ხანგრძლივ სიცოცხლეს, ჯანმრთელობას. „რუსული ავიაციის პაპის“ სახლში კი მოდის მილოცვათა ნაკადი ყველაზე ახალგაზრდა კომუნისტისადმი.

ბ. ლუკიანოვი, ა. სერბინი,
(საკდესის კორ.).

მოსკოვი, 1 ნოემბერი.

ბ. ი. როსინსკის თხოვნა და მიიღო დადგენილება

მაგისტრალის შევარდნები

აი ისინი, ვინც სიტყვა საქმედ აქცია

ზეინალი მ. გელაშვილი დეპოს უფროსთან მაშინ შევიდა, როცა იგი თავის კაბინეტში მცირე ფორმის ჟურნალს ფურცლავდა. ჟურნალში კალიგრაფიული ხელით ჩაწერილი იყო ასოები და ციფრები — თბილისის საელმავლო დეპოს ოთხი თვის საწარმოო მაჩვენებლები, ადვილად შეატყობდით, რომ უფროსი კმაყოფილი იყო. იგი ხარობდა იმ ბედნიერებით, რომელსაც დასახული მიზნისაკენ შეუხელებელ სრბოლაში მიღწეული გამარჯვება ჰგვრის ადამიანს. ადვილი მოსაპოვებელი როდია ასეთი მაჩვენებლები: ტვირთების გადაზიდვის გეგმა დეპომ 117 პროცენტით შეასრულა, ლოკომოტივების გარბენის დავალებას კი 12 პროცენტით გადაეჭარბა. გაიზარდა შრომის ნაყოფიერება, დაიზოგა დიდძალი ელექტროენერგია. ეკონომიის ფონდში შეტანილია მრავალი ათასი მანეთი ზეგეგმითი დაგროვება...

ეს მიღწევები უსაზღვრო სიხარულით და სიამაყით ალავსებდა პირველ რიგში მას, დეპოს უფროსს, საქართველოს სსრ დამსახურებულ ინჟინერს აკაკი ჩარკვიანს. რომელიც მრავალი წლის განმავლობაში რკინიგზის ტრანსპორტს ემსახურება, საუკეთესო სპეციალისტად და უნარიან ხელმძღვანელად ითვლება.

და ახლა, როცა ამ სასიამოვნო განცდების ქამს მასთან შევიდა მიხეილ გელაშვილი, დეპოს უფროსი აღღოთი მიხვდა, რომ მოწონავე ზეინკალი რაღაც ახალი პატრიოტული წამოწყებისათვის იყო მოსული.

მიხეილ გელაშვილი ქართველ მეელმავლეთა მოწინავე პლეადას ეკუთვნის. მან სახელი გაითქვა საქმის ღრმა ცოდნით, შრომაში მუყაითობით და მოფიქრებით, გამომგონებლობითი უნარით და შემოქმედებითი შემართებით. იგი საექსპერიმენტო ბრიგადაში მუშაობს და დავალებას მუდამ დიდი გადაჭარბებით ასრულებს, ამასთან მის მიერ გაკეთებული დეტალი დამუშავების მაღალი ხარისხითა და დიდი სიზუსტით გამოირჩევა.

მოწონავე ზეინკალს მარტო პირადი გეგმა და შრომა რიდი აღელვებს, იგი საერთო საქმეზე ფიქრობს, დეპოს კოლექტივის საერთო წარმატებისათვის ზრუნავს. ამ ზრუნვამ შთაგონა ოსტატ სერგო ოვანოვს, ზეინკალ მიხეილ გელაშვილს, მჭედელ დავით კაპანაძეს და ზეინკალ სულიკო ფუხაშვილს უნივერსალური კოშკური ამწის კონსტრუქციის შექმნა და ადგილზე დამზადება საკუთარი ძალებით.

წელს გაზაფხულზე რკინიგზელთა საკავშირო თათბირის დღეებში ხშირად ნახავდით საექსპერიმენტო ბრიგადის ამ მოწონავე ადამიანებს, ერთმანეთს ცხარედ რომ ეკამათებოდნენ, რაღაცას უჩვენებდნენ და უმტკიცებდნენ.

— ხომ ხედავთ, — ეუბნებოდა თავის კოლეგებს მიხეილ გელაშვილი, — რკინიგზელთა თათბირზე გადაწყდა გაიზარდოს ელექტრომავლის მომსახურების რადიუსი. ეს ამაღლებს — მემანქანეთა შრომის ნაყოფიერებას და გაათავისებს ელექტრომავლის ჯამოყენებას. თათბირის ამ მოწოდების საფუძველზე ჩვენი დეპოს ელექტრომავლები უკვე გადაყვანილი არიან გრძელმხრიან მომსახურებაზე. თუ წინათ დეპოდან გასულ ელექტრომავლს სახალხო მატარებელი თბილისიდან ახლოდან სამტრედიამდე მიჰყავდა აუხსნელად, ახლა აღღერამდე მიჰყავს. და ამით ღიდად მცირდება ელექტრომავლის მუშაობის დამახმარე ანუ არამარგი დრო. ეს კი იმას ნიშნავს, რომ თვითეული ელექტრომავალი უფრო ადრე გაირბენს კილომეტრების იმ რაოდენობას, რაც ნორმით დაწესებულია შეკეთებათაშორის ფრონში, ესე იგი უფრო ადრე დაუბრუნდება დეპოს შესაკეთებლად. ამგვარად, ჩვენც ხომ სამუშაო გვემატება!

— და მომატებულ სამუშაოს თავი რომ გავართვათ, — დაასწრო აზრის დამთავრება ფუხაშვილმა, — საჭიროა შრომატევადი პროცესების მექანიზაცია.

— პირველ რიგში კი დეტალების შედასაამქრო ტრანსპორტირების მექანიზაცია, — დასძინა მჭედელმა დავით კაპანაძემ, — ჩვენ ხომ მოვიფიქრეთ კოშკური ამწის კონსტრუქცია, გავაცნოთ იგი დეპოს უფროსს, მოკავშირნეს და დამზადებაშიც დაგვეხმარება.

ახლა სწორედ თავისი ამხანაგების ამ პატრიოტული სურვილის მოსახსენებლად იყო შესული ზეინკალი მიხეილ გელაშვილი დეპოს უფროსთან.

— ნება დაგვრთეთ, გავაკეთებთ ამწეს. ეს იქნება ჩვენი პასუხი რკინიგზელთა საკავშირო თათბირის მოწოდებაზე და ჩვენი მცირედი წვლილი დიდ სახალხო საქმეში, — უთხრა მან უფროსს.

დეპოს უფროსიც სიამოვნებით დაეთანხმა.

მას შემდეგ ორ თვესაც არ გაევლო და აწევითი შეკეთების საამქროში მუშაობა დაიწყო საექსპერიმენტო ბრიგადის მიერ შექმნილმა ნახევარტონიანმა უნივერსალურმა კოშკურა ამწემ. ამ ღონისძიებამ 25 პროცენტით გაზარდა საამქროში შრომის ნაყოფიერება, გააადვილა და დააჩქარა დეტალების ტრანსპორტირება. ბევრი რამ გაკეთდა — ამ ბოლო ხანებში საელმავლო დეპოში შრომატევადი პროცესების მექანიზაციისა და საწარმოო კულტურის ამაღლების მიზნით. ყოველივე ამან მუშების თავდადებულ შრომასთან ერთად შესაძლებლობა მისცა დეპოს კოლექტივს გადაჭარბებით შეესრულებინა სარემონტო სამუშაოთა დავალება, რომელიც თითქმის ორჯერ გაიზარდა უკანასკნელ თვეებში.

მეორე კვარტალის შედეგების მიხედვით მეელმავლეები გამარჯვებულნი გამოვიდნენ სოციალისტურ შეჯიბრებაში რკინიგზის თბილისის განყოფილების კოლექტივთა შორის. ამიტ წახალისებულმა მეელმავლეებმა ახალი, გადიდებული ვალდებულებანი იკისრეს და გაჩაღეს სოციალისტური შეჯიბრება ოქტომბრის რევოლუციის 45-ე წლისთავის ღირსეულად შეხვედრისათვის.

ვალდებულებათა გასანაღდებლად მთელი კოლექტივი თავდადებით მუშაობს.

საამქროები, წარმოება ერთი მხარეა დეპოს საქმიანობისა. მის მეორე, მეტად პასუხსაგებ უბანს წარმოადგენს ეგრეთწოდებული წევის დარგი, საელმავლო გენდების, მემანქანეების მუშაობა. თბილისის საელმავლო დეპოს მრავალი საუკეთესო მემანქანე ჰყავს. აი, მაგალითად, მემანქანე თენგიზ კახაბრიშვილი ძმიმე წონის მატარებლის ტარების ოსტატია. განვლილ ცხრა თვეში მან 80-მდე ძმიმე წონის მატარებელი წაიყვანა და გეგმის გადამეტებით 30 ათასზე მეტი ტონა სახალხო-სამეურნეო ტვირთი გადაზიდა.

მემანქანის მუშაობაში არ კმარა კარგად ფიქრი ელექტრომავალი. ამასთან აუცილებელია იყო ყურადღებიანი და მოხდომებული, ზედმიწევნით შესწავლილი გქონდეს გზის რელიეფი და უნარიანად უხმამდე მას მატარებლის სიჩქარეს. სწორედ ასეთები არიან ვალიკო ჩიბირაშვილი, ამირან ბატკუაშვილი, იუზა ხარატიშვილი. თუმცა ახალგაზრდები არიან, მაგრამ საქმეში ბევრ ძველ და გამოცდილ მემანქანეს გაუსწრეს. სწორედ მათზე მოდის ყველაზე მეტი ძმიმე წონის მატარებელი და ყველაზე მეტი გადაზიდული სახალხო-სამეურნეო ტვირთი. არც ერთი წუნი, გრაფიკის დარღვევის არც ერთი შემთხვევა! — ამ დევიზით მუშაობენ ეს მოწინავე მემანქანეები და სიტყვას ეაყაკეურადაც ასრულებენ. მშობლიური ქვეყნისათვის მეტი სარგებლობის მოტანის დაუცხრომელი სურვილი შრომითი გმირობის ახალ-ახალ მაგალითებში იჩენს თავს. მემანქანე ვალიკო ჩიბირაშვილს ხშირად ისეთი სატვირთო მატარებელი დაჰყავს, რომლის წონა ათასი ტონით და უფრო მეტად აღემატება ნორმას. მატარებლის წონასთან ერთად დღითიდღე ზრდის იგი ელექტრომავლის სადღეღამისო გარბენს.

უსაზღვრო პატრიოტიზმი და შრომისადმი შეგნებული დამოკიდებულება გახდა ის ძალა, რომელმაც უზრუნველყო დეპოს კოლექტივის მიერ ნაკისრ ვალდებულებათა წარმატებით განაღდება, გმირული გახადა მეელმავლეთა შრომა. სათუთად მოვლილ სუფთა ჟურნალში აღნუსხულია დეპოელთა 9 თვის მუშაობის შედეგები: გადაყვანილია 7.124 ძმიმე წონის მატარებელი, გეგმის გადამეტებით გადაზიდულია 2.640.594 ტონა-კილომეტრი ტვირთი, 113,8 პროცენტით შესრულებულია ელექტრომავლთა გარბენის დავალება, საათში 2,3 კილომეტრით გაიზარდა ელექტრომავლის ტექნიკური სიჩქარე. ამაკე პერიოდში კომუნიზმის ფონდში მეელმავლეებმა 60.000 მანეთი ზეგეგმითი მოგება შეიტანეს.

მრავალი ასეთი სასიკეთოლო მაჩვენებელია შეტანილი ამ ჟურნალში. ეს მაჩვენებლები დამსახურებულ სამაყოს იწვევს თბილისელ მეელმავლეებში, მაგრამ ოდნავაც არ ანელებს მათს მისწრაფებას უკეთესად იმუშაონ, უფრო მეტი სარგებლობა მოუტანონ ჩვენს ქვეყანას, კომუნიზმის მშენებელთა სახელმწიფოს.

მ. არაოშიძე.

გარდამავალი დროშის მფლობელნი

შვიდწლედის მეოთხე წლის პირველ ნახევარში „საქსოფლტექნიკის“ აბაშის მანქანა-მელიორაციული სადგურის კოლექტივმა სასახელოდ იმუშავა. სადგურის კოლექტივს მიეკუთვნა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს რესპუბლიკური გაერთიანება „საქსოფლტექნიკის“ და სოფლის მეურნეობის დამზადებათა მუშა-მოსამსახურეების პროფკავშირის საქართველოს რესპუბლიკური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა და პირველი ფულადი პრემია. გამარჯვებულ კოლექტივს გარდამავალი წითელი დროშა საზეიმო ვითარებაში გადასცა რესპუბლიკურ გაერთიანება „საქსოფლტექნიკის“ თავმჯდომარის მოადგილემ ამხ. გ. სეხნიაშვილმა.

ს. ჭანტურია, სოფლკორი.

კავშირგაბმულობის ორიზონტები

3 პარტიის პროგრამაში, თანამედროვეობის ამ უდიდეს დოკუმენტში ტექნიკური პროგრესის წამყვან დარგთა შორის კავშირგაბმულობას დათმობილი აქვს საპატიო ადგილი.

პროგრამაში ნათქვამია: მოხდება კავშირგაბმულობის ყველა საშუალების (ფოსტის, რადიოს, ტელევიზიის, ტელეფონის და ტელეგრაფის) უფრო მეტი განვითარება. ჩვენი ქვეყნის ყველა რაიონი მიიღებს კარგსა და მყარ კავშირს და მოცული იქნება ურთიერთდაკავშირებული სატელევიზიო სადგურებით.

ჩვენი რესპუბლიკის კავშირგაბმულობის საწარმოების მუშაკები მზად არიან უკლებლივ შეასრულონ პროგრამაში გათვალისწინებული ამოცანები, მიაღწიონ კავშირგაბმულობის ყველა საშუალებათა შემდგომ განვითარებას და მუშაობის გაუმჯობესებას.

ტექნიკის განვითარებასთან ერთად, კომპლექსური ავტომატიზაციის ფართოდ განვითარება და მრეწველობაში მათი დანერგვა სულ უფრო ზრდის კავშირგაბმულობის საშუალებათა როლს, ჩვენს პირობებში კავშირგაბმულობის უქონლად წარმოუდგენელია მეურნეობის მართვა.

კავშირგაბმულობის საშუალებები დღეს — ეს არის ელექტრონული ხელსაწყოების რთული მოწყობილობისა და კავშირგაბმულობის მაღალი სიხშირის არხების კომპლექსი, რომელიც საშუალებას გვაძლევს ვაწარმოოთ ყველა სახის ინფორმაციის გადაცემა, მათ შორის ავტომატურადაც, ურომლისოდაც თანამედროვე პირობებში შეუძლებელია ქვეყნის ნორმალური მართვა, საწარმოო-სამეურნეო და საზოგადოებრივი ცხოვრების წინსვლა.

ამიადამ ფართო გავრცელება ჰპოვა ახალმა ცხრამ — კავშირგაბმულობის საშუალებების გამოყენების მეშვეობით საწარმოო ფუნქციების შესრულებამ, ეგრეთწოდებულმა „ტექნოლოგიურმა კავშირგაბმულობამ“. ეს არის კავშირგაბმულობის საშუალებათა კომპლექსი. რომელიც უზრუნველყოფს ავტომატიზებული წარმოების მართვასა და ტექნიკურ კონტროლს.

მაგალითად: ტელევიზია ემსახურება არა მარტო მოსახლეობის კულტურული მოთხოვნილების დაკმაყოფილებას, არამედ ხდება მრავალი საწარმო პროცესის მართვისა და მეცნიერული გამოკვლევების შემადგენელი ნაწილი.

უდიდესი სამსახური გაუწია ტელევიზიამ და რადიოკავშირმა საბჭოთა კოსმოსური ხომალდების „აღმოსავლეთ-3“ და „აღმოსავლეთ-4-ის“ მრავალდღიან გაფრენას და ჯგუფურ შეთანხმებულ მოქმედებას კოსმოსურ სივრცეში.

კოსმონავტების ფრენის დროს მათ შორის ხორციელდებოდა უშუალო ორმხრივი, ყაარი რადიოსატელევიზო კავშირი, რომლის საშუალებითაც ერთმანეთს აწვდიდნენ ინფორმაციას.

კოსმონავტების ოთხი დღეღამის ფრენის მთელ მანძილზე ერთი წუთითაც არ შეწყვეტილა დედამიწასთან რადიოსატელევიზიო კავშირი და მეცნიერული მონაცემებისა და დაკვირვებების გადმოცემა.

ახლო მომავალში ადამიანის მოღვაწეობის მრავალ სფეროში ფართო გამოყენებას ჰპოვებს ტელეკინის ახალი დარგი — ტელევიზიური ავტომატიკა.

დიდია საქართველოში კავშირგაბმულობის საშუალებათა განვითარების პერსპექტივები უახლოეს წლებში.

რადიოკავშირში, რადიომაუწყებლობასა და ტელევიზიაში მოქმედებს ათობით მაგისტრალური და შიდარესპუბლიკური რადიოკავშირი საბჭოთა კავშირის ქალაქებთან. ფართოდება ტელევიზიის გადაცემათა ზონა საქართველოში. ამისათვის უკვე აშენებულია 13 სარეტრანსლაციო დანადგარი, 1962 წლის პირველი აგვისტოსათვის ირიცხება 45.461 ინდივიდუალური და კოლექტიური სარგებლობის ტელევიზორი. მომდინარეობს თბილისი-სოხუმი-სოჭის რადიორელეური ხაზის მშენებლობა. მიღებულია ყველა ზომა იმისათვის, რომ ეს ხაზი თბილისი-ქუთაისის უბანზე 1962 წლის ბოლოს გადაეცეს საექსპლოატაციოდ, იგი დასავლეთ საქართველოს მთელ ოკა რიგ რაიონებს უზრუნველყოფს ტელევიზიით, განხორციელდება ღონისძიებანი, რომლებიც უზრუნველყოფენ რესპუბლიკის ტერიტორიის მთლიანად დაფარვას სატელევიზიო ქსელით.

რადიორელეური ხაზის მშენებლობასთან დაკავშირებით აშენებული იქნება ტელევიზიის მძლავრი რეტრანსლატორები ჭიათურაში, ქუთაისში და სხვაგან, სადაც ეს საჭირო გახდება.

თბილისი-ქუთაისის უბანზე რადიორელეური ხაზის მშენებლობის დამთავრებას მოჰყვება ასეთივე ხაზის მშენებლობა სოხუმისა და ბათუმის მიმართულებით.

მშენებლობის მთელი კომპლექსის დამთავრების შემდეგ 1964 წელს შესაძლებელი გახდება სატელევიზიო პროგრამების გაცვლა საბჭოთა კავშირისა და საზღვარგარეთის ზოგიერთ ქალაქთან.

თბილისში დაიდგმება გადამცემი ანტენა, რომლის მეშვეობით ტელემაყურებელი სურვილის მიხედვით პროგრამას მოისმენს რუსულ ან ქართულ ენაზე. მომავალში გათვალისწინებულია აგრეთვე ფერადი ტელევიზიის ორგანიზაცია.

ზემოხსენებული რადიორელეური ხაზის მშენებლობა საშუალებას მოგვცემს დავნერგოთ და დავამონტაჟოთ მრავალარხიანი სატელეფონო-სატელეგრაფო სისტემები თბილისი-ქუთაისის უბანზე. გარდა ამისა, მიღებულია ყველა ღონისძიება იმისათვის, რომ 1962 წლის დამლევს მივიღოთ ამავე უბანზე დამატებით საქალაქთაშორისო ტელეფონის 60 არხი. შვიდწლედის ბოლოს საქართველოში საქალაქთაშორისო ტელეფონის არხთა რაოდენობა 1000-მდე გაიზრდება, 1980 წლისათვის კი 5.500-ს გადააჭარბებს. ამასთან ამ პერიოდისათვის საქალაქთაშორისო კავშირი განხორციელდება უშუალოდ ტელეფონის ნომრის აკრეფით.

ამჟამად ინერგება ფოტოტელეგრაფის კავშირი, რომელიც მთლიანად უზრუნველყოფს დეპეშების გადაცემას ყველა ენაზე და იმ სახით, როგორც შემოტანილი იქნება გამგზავნის მიერ, კავშირგაბმულობის თბილისს სამ განყოფილებაში, გურჯაანში, რუსთავში, ნაშურში, გაგრაში და სოხუმში უკვე დანერგილია ფოტოტელეგრაფის კავშირი. წლის ბოლომდე ფოტოტელეგრაფის ამარატურა დაიდგმება თბილისი-ბათუმ-სოხუმ-ონამჩირესა და ქუთაის-ზუგდიდს შორის, აგრეთვე თბილისს, სოხუმის, ქუთაისის და გურჯაანის 16 განყოფილებაში, რაც საშუალებას მოგვცემს ვაწარმოოთ ფოტოდეპეშების გაცვლა ამ პუნქტებს შორის ყველა ენაზე.

მიუხედავად იმისა, რომ საექსპლოატაციოდ გადაცემულია ახალი საქალაქო ავტომატური სატელეფონო სადგურები ქ. თბილისში, სოხუმში, ქუთაისში, ბახჩისარაიში, ზუგდიდში, ახალციხეში, გურჯაანში, გეგეჭკორში, სამტრედიაში და ცხაკაიაში, დღეისათვის მაინც ვერ ვაკმაყოფილებთ ტელეფონებზე მოსახლეობის გაზრდილ მოთხოვნილებებს. ამჟამად შენდება ავტომატური ტელეფონის სადგურები ბათუმში და გორში. მიმდინარეობს საქალაქო სატელეფონო ქსელის შემდგომი გაფართოება თბილისში და ახლო მომავალში აშენდება ავტომატური ტელეფონის სადგურები 26 კომისრის სახელობის რაიონში 6.000 ნომრისათვის, ლენინის სახელობის რაიონში 10.000 ნომრისათვის, ორჯონიკ

ჯამილა იმარჯვებს

ეგვიპტური ფილმი ჩვენს ეკრანზე

სეანსი ჯერ კიდევ არ დაწყებულა. ხალხით სავსე მოსაცდელ დარბაზში გზივარ და უნებურად ვიგონებ სამი წლის წინანდელ ამბავს, ქაიროს ქუჩებს, მაღალ შენობებს, ათასფერად და ნაირ-ნაირ კინო სარეკლამო განცხადებებს: „ჯამილა“, „ჯამილა“, „ჯამილა“. ალჟირელი პატრიოტი ქალიშვილის ჯამილა ბუხირედის გმირული საქმე, რომელმაც განაცვიფრა მთელი მსოფლიო, ალაფრთოვანა ყველა ქვეყნის კეთილი ნების ადამიანები, ეგვიპტელ კინომუშაკთა შემოქმედებითი შთაგონების წყაროდ ქცეულა.

ყველა არაბს, მუშასა თუ ფელახს, ვაჭარსა თუ მოსამსახურეს, ჯარისკაცს, პოლიციელსა, თუ სხვა საქმის ადამიანს, ენაზე აკერია ეს სახელი. ჯამილა ხომ დაბადებული ქალიშვილის სიმბოლოა თავისუფლებისა და ბედნიერების, ალჟირელ ხალხის ბრძოლის სიმღერის, ალჟირელ პარტიზანთა საბრძოლო სიმღერის, ალჟირელ ქალების ეროვნული ტანსაცმელის, ალჟირელ ხალხის ბედნიერებისა და თავდადების ნათელი სურათები. ჩვენ ეკრანზე ჯამილა ბუხირედის ბედნიერ ცხოვრებას ვხედავ, ოჯახურ ბედნიერებას, ოჯახურ ბედნიერებას, ოჯახურ ბედნიერებას, ... ეს ... ეს ... ეს ... ...